

## მადლობა შენ, ერეკლე მეფე

ჩემი პირველი შეხება მეფეებთან მაშინ დაიწყო, როდესაც სამი წლის ვიყავი, პირდაპირ გადმოხტნენ ბაბუას მოყოლილი ზღაპრებიდან და ჩემს საწოლთან ჩამოსხდნენ, თან თავისი პრინციები, ულამაზეს ფუშფუშა კაბებში გამოწყობილი პრინციესები და დედოფლები, გველუშაპები, ურჩხულები მოიყოლეს. მეც მათთან ერთად ვცხოვრობდი, ჩემს სათამაშო მეომრებს მათ სახელებს ვარქმევდი. მიყვარდა მეფეები და ვაღმერთებდი ჩემს ჯარისკაცებს. ჩემი პატარა ოთახი მათ სასახლედ ვაქციე და ყოველ საღამოს მოთმინებით ველოდი, რომ მათი ახალი ამბები მომესმინა ბაბუისაგან. უჰ, რა კარგი დრო იყო!

წლები გავიდა... ჩემი მეფეები იქ, ზღაპრებში დარჩნენ და უკვე რეალური და ისტორიული მეფეები, იმპერატორები, ფადიშაჰები, ყაენები თუ ფარაონები შემოვიდნენ ჩემს შემეცნებაში. კკითხულობდი, ვსწავლობდა მათ ისტორიებს და სულ უფრო მიკვირდა, რომ მათ შორის არცერთი ჩემი მეფე არ იყო. ესენი სულ სხვანაირები იყვნენ. უმრავლესობა ბოროტი და სისხლისმსმელი. ისეთი შეგრძნებაც კი მქონდა, თითქოს ეს მეფეები ჩემს ზღაპრებს კლავდნენ. რაც მეტს ვეცნობოდი მათზე დაწერილ ისტორიებს და ლიტერატურას, ჩემი კეთილი და საყვარელი მეფეები უფრო მშორდებოდნენ. ხელიც კი ჩავიქნიე და ცოტადა მაკლდა დავრწმუნებულიყავი, რომ ისეთი მეფეები აღარ არსებობდნენ და უცებ, ერთ-ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი ერეკლე მეორის წერილს გვიკითხავს, რომელსაც შვილს თეკლა ბატონიშვილს უგზავნის. „თეკლას, დედისა და მამის სიხარულს, მადლი, წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ“. ასე იწყება ეს პატარა წერილი, რომელმაც ჩემი პატარაობა დამიბრუნა. ის მეფე დამიბრუნა, მე რომ ასე მიყვარდა - კეთილი, სათნო, შვილებზე უზომოდ შეყვარებული სახელმწიფო საქმეებში ჩაფლული იმისთვისაც რომ იცლის, შვილს ნულლი თუ შაქარყინული გაუგზავნის და გაახაროს. პატარა კახი, თავის საინტერესო ცხოვრების გამო, ისეც მიყვარდა და ახლა ათმაგად შემიყვარდა. ეს სწორედ ის მეფეა, ჩემს ზღაპრებში გველუშაპებს თუ ბოროტ ადამიანებს, რომ ამარცხებდნენ და თავის შვილებთან ერთად „ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად“

მადლობა შენ, ერეკლემეფე, რომ ჩემი პატარაობა ისევ გააფერადე, მადლობა შენ, რომ ჩემი სამი წლის დროინდელი შვიდფერა სიზმრები რეალობად აქციე და მადლობა შენ, რომ ჩემი ზრაპრები არ მოკალი.

... წლები გავა, არ ვიცი რა იქნება ხვალ, რა იქნება შემდეგ, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, თუ ვინმე პატარას ზღაპარს მოუყვები, აუცილებლად ასე დავიწყებ: „იყო და არა იყო რა იყო დიდი მეფე, რომელსაც მოფერებით „პატარა კახს“ ეძახდნენ და რომელსაც უზომოდ, უზომოდ უყვარდა თავისი შვილები“...